№ 245 ნოემბერი 19, ხუთშაბათი — 1892 — ოი 19, ხუთშაბათი № 245

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით. დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანტოვის ქვეტლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

პარასკევს, 20 ნოემბერს,

ტფილისის სობრანიაში კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ორბელიანის მოთაველობით

გამართულ იქმნება

## კონცერტი

მომავალ ქართულ დედათა სკოლის ფონდის სასარ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: სტრეპეტოვისა, ზანოლისა, ცეიტლინისა და ბ-ნნი: ლესტოვნიჩი, სარაჯიშვილი და კოვალენსკი.

კონცერტს შემდეგ ტანცები

დასაწყისი კონცერტისა საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება დღეიდამვე სობრანიის შვეიცართან.

(4—2)

### წიგნების გამომცემელ ქუთაისის ამხანაგობის

მმართველობა ამით აცხადებს, რომ 21 ნოემბერს, საღამოს 7-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება**, რომელზედაც განხილულ იქმნება შემდეგი საგნები:

1) არჩევა ახალის მმართველისა ნაცვლად ბ-ნ გარსევანიშვილისა, რომელიც ქუთაისში აღარ მსახურობს;

2) მიღება ახალის წევრებისა;

3) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა. (2—1)

ტფილისი, 18 ნოემბერი

მოგეხსენებათ, რომ გლადსტონი ამ მოხუცების დროს სრულიად და სავსებით მიეცა დიდს საქმეს ირლანდიაში თვით-მმართველობის შემოღებისას. იმის აზრით, ეს საქმე ისეთი დიდი საქმეა, რომ სხვა ყოველმა ზრუნვამ უნდა გზა დაუთმოს. ძალა და მოცალეობაც იმდენი უნდა ამ დიდის საქმის განხორციელებას, რომ მე სხვა საზრუნავისათვის ველარც დროს ვიპოვი და ველარც ძალა და ღონე მომყვება, დღეს რომ სხვა რამ დიდი ტვირთი კიდევ თავს ვიდვაო.

ჯერ ისევ კონსერვატორთა სამინისტროს დროს, როცა გამარჯვება გლადსტონისა საეჭვო იყო არჩევანებზედ, მუშათა დეპუტაციას ასეთი პასუხი მისცა დიდებულმა მოხუცმა და არა აღუთქვა-რა, არას დაჰპირდა: — რომ დაგპირდეთ და ვერ-კი შეგისრულოთ დანაპირები, ეგ მე არ შემიძლიანო. ამის გამო გლადსტონს, ცოტა არ იყო, გაებუტნენ მუშანი, გაებუტნენ მრავალნი ამომრჩეველნი და უსაყვედურებდნენ, ეგრე გულ-ცივად არ უნდა მიეღო იმ წოდების წარმომადგენელნი, რომელთაც დიდი ძალა და ღონე აქვთ და მართლა დიდი სიმართლე მიუძღვით, ითხოვენ თავიანთ საჭიროებათა განხილვა და უფრო სამართლიანის ურთიერთობის ჩამოგდება მშრომელთა და ფულის პატრონთა შორისაო.

გაუგულცივდნენ მუშანი გლადსტონს, რომელმაც წინადვე კარგად იცოდა, რომ ეს სწორედ ასე იქნებოდა. იცოდა და მაინც თავისას მტკიცედ ადგა, თავის პროგრამის ღალატს არა ჰფიქრობდა. სახელმწიფო კაცი არ არის, ვინც წარამარად ჰპირდება ვისმე რასმეო. სახელმწიფო კაცი არ არის ის, ვისაც დღეს ერთი საქმე მიაჩნია დიდ საქმედ და გადასაწყვეტად, ხვალე სხვას იჩენს და ზეგ კიდევ სხვასაო. მუშებმა მაინც არ შეიწყნარეს ასეთი ლაპარაკი და, თუ ყველამ არა, ბევრმა შავი კენჭი მისცა გლადსტონს და მის მომხრეებს იმათდა გასამარჯვებლად, ვინც ბევრს რასმე ტკბილს ლაპარაკობდნენ საარჩევანო ციებ-ცხელების დროს. ეს იყო მიზეზი, რომ ლიბერალთა დასმა ძლიერ ვერ გაიმარჯვა და მხოლოდ ოციოდე ხმა მიიღო კონსერვატორებზედ მეტი. მასუკანაც, როცა გლადსტონმა შეადგინა სამინისტრო და ჩაიბარა ქვეყნის მართვა-გამგეობა, არ დასცხრა, რასაკვირველია, დიდი ტკივილი ამ მეცხრამეტე საუკუნისა—საჭიროება მუშათა საქმის განკარგებისა, კანონით უკეთესის ურთიერთობის დაწესებისა შრომა-კაპიტალ შორის.

გეხსომებათ, შესანიშნავი წერილი ლაბუშერისა, რომელიც ლიბერალთა უმწვერვალესს დასს ჰმეთაურობს და თამამად და გაბედვით ითხოვს ბევრ გვარ სასიკეთო სოციალურ ცვლილებასა და რეფორმას. ამას დაუმატეთ პროგრამა ისეთისავე რადიკალისა, როგორიც არის დღევანდელი უნიონისტი, დეპუტატი ბირმინგამისა ჩემბერლენი, რომელიც თხოულობს 8 საათს უნდა იმუშაონ მარტო მუშებმა მადნებშიო, მოხუც მუშათათვის პენსია უნდა დააწესოს სახელმწიფომაო, რადგან ორში ერთი მუშა, მიაღწევს თუ არა 60 წელს, იძულებულია მათხოვრობას მიჰყოს ხელი და გლახაკობით იკვებებოდესო.

ჩემბერლენმა სთქვა ამ თავის პროგრამაში, რომ მართალია, სრული ჭეშმარიტებაა გლადსტონის აზრი: მეტი შეცდომა არ იქნება საპოლიტიკო მოღვაწეს მხრით, დაჰპირდეს ქვეყანას მრავალს, იტვირთოს მრავალი ვალდებულება და სახეში-კი არ მიიღოს ვითარება იმ დროებისა და გარემოებათა, რომელთა შორისაც იღვწისო; მართალია და ჭეშმარიტია ყოველივე ესე, მაგრამ ისიც მართალია, რომ საპოლიტიკო მოღვაწე უნდა უფიქრდებოდეს ამ ვითარებასა და გარემოებას, იკვლევდეს და ძიობდეს, საიდამ რაა მოსახერხებელი გასაკეთებლად და განსახორციელებლად საყოველთაო ბედნიერებისათვისაო.

აი ყოველივე ესე იყო მიზეზი იმისი, რომ გლადსტონმა დღეს, ასე თუ ისე, გული დაუამა, როგორც ლაბუშერის, ისე ჩემბერლენის მომხრეთა. გული დაუამა მით, რომ დაჰნიშნა ცალკე კომისია და მიანდო, განიხილეთ და განარკვიეთ კასის დაარსების საქმე მოხუცთა და შრომისათვის ღონე მოკლებულ მუშათა უზრუნველ საყოფელადაო.

ეჭვი არ არის, რომ ასეთი განკარგულება დიდებულის მოხუცისა ეამება არა მარტო მუშათა დასს, არამედ თვით ლიბერალებსაც, როგორც ჩემბერლენის, ისე ლაბუშერის კბილისას. ეამება აგრეთვე კონსერვატორთა ერთს ჯგუფს, რომელიც აღიარებს პროგრესიულს ტორიზმს და ამტკიცებს, რომ სოციალური რეფორმებია უმთავრესი საქმე ინგლისის სახელმწიფო მართვა-გამგეობისა ამ ჟამადაო. ასეთი განკარგულება არ იამებათ მხოლოდ იმ ლიბერალთ, რომელთაც არაფრის დათმობა არ უნდათ მუშათათვის იმ მოსაზრებით, ვითომ არ იფიქრონ, მაგ დათმობით თქვენი მოსყიდვა, თქვენი ხმა და კენჭი გვინდოდაო და იმ კონსერვატორთ კიდევ, რომელთაც, ჩემბერლენისა არ იყოს, არცა-რა დაივიწყეს-რა და არცა-რა ისწავლეს-რა. მაგრამ ასეთი ხალხი ხომ იმ კუზიანებსა ჰგვანან, რომელთაც მარტო სამარე თუ გაასწორებს.

გრ. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდგან 12 მან. ბ ნ ი. გ. კაციტაძისაგან ბ-ნ თ. ჟორდანიას წიგნის ოთხის ეგზემპლიარის დასაკვეთად. წიგნები უნდა გაეგზავნოთ: ი. გ. კაციტაძეს, ი. მ. გომელაურს, მ. ო. ურუშაძეს და ს. ი. ვაშალომიძეს. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 115 მან., შესდგა სულ 127 მანეთი.

*** შენობათა კომისიამ, ტფილისის ქალაქის მოურავისა და ქალაქის გამგეობის წევრის ბ-ნ იზმაილოვის თანადასწრებით, დაათვალიერა ავჭალაში მილის წყალის ფილტრები და დარწმუნდა, რომ ახალ-გაკეთებული ფილტრი ერთს დღეში 86,400 ვედრა წყალს დასწმენდავსო. კომისიამ გარდასწყვიტა: მიეცეს ქალაქის გამგეობას წყლის მილისთვის გადადებული დანარჩენი ფულიც (14,000 მ.), და ეს ფული წყალის მილის განკარგებას მოჰხმარდესო.

*** პირველ გიმნაზიის მთავრობას გადაუწყვეტია გაზაფხულის პირს გააკეთოს გიმნაზიის ეზოში, გიმნაზიის სხვა შენობათა მოშორებით, გადამდებ სენიან ავადმყოფთათვის თავშესაფარი ფარდული. გეგმა ამ ფარდულისა შეადგინა ქალაქის ხუროთ-მოძღვარმა ბ-ნმა მელიქ-ბეგლიაროვმა.

*** ჩაის მოვაჭრენიც არ ჩამორჩნენ შაქრის მექარხნეებს ფასის მომატებაში, დაბალ ხარისხის ჩაის ფასი მოუმატეს და თავს იმითი მართლულობენ, რომ დაბალ ხარისხის ჩაი წელს ნაკლებად მოვიდა და ამიტომ არის

## ფელეტონი

### „ბნელო“ — მოთხრობა ნ. მელანიასი

(შემდეგი *)

იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს მოთხრობას, ნამდვილი და მეტად სიმპატიურია, მაგრამ საქმე მოთხრობის დედა-აზრი და სიუჟეტი როდია, არამედ მისი „კოლორიტია“; საქმე მარტო მოთხრობის ჩონჩხი-კი არ არის, არამედ იმისი გახსნა-გაშლა, ხორც-შესხმა და გასულდგმულებაა ხელოვნების სულის შთაბერვით. ამ მხრით მოთხრობა „ბნელო“ თითქოს ცოტას მოიკოჭლებს. თითოეული თავი ამ მოთხრობისა, თავის თავად აღებული, კარგია და ბევრგან მეტის-მეტადაც კარგი, მაგრამ საერთოდ მთელი მოთხრობა, როგორც ერთიანი ხელოვნური ნაწარმოები ვერ ჰმოქმედობს ადამიანზედ ისე, როგორც მოსალოდნელია კითხვის დაწყებისას.

ავტორის აღწერილობა მეტად მოგწონთ, მისი აზრები ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ, მისს იდეალებს თანაუგრძნობთ და სხვა, მაგრამ მაინც მაგდენად ვერ გაძულებთ საძულველს და ვერ გაყვარებთ საყვარელს. ეს იმიტომ, რომ მოთხრობას, თუ არა ვსცდებით, ცოტა, ეგრედ წოდებული, „პოეზიის მარილი“ აკლია და მეტად „პროტოკოლური“ ხასიათი აქვს. თან ამ მოთხრობას პსიხოლოგიური მოთხრობა ვერ დაერქმის. ამიტომ სრულად და ყოვლის მხრით დასურათებულ გმირებს ამ მოთხრობაში ვერ ვხედავთ. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, ფეხ-მოსაკიდებელ, ხელ-ჩასაჭიდს მთავარს გმირს, რომლის გარშემო ჰმოქმედობდნენ დანარჩენები, თქვენ ველარ ჰპოულობთ. მთავარი გმირი მოთხრობისა ილაა (შემდეგ ბნელოდ გამხდარი და აქედამ მთელი სახელ-წოდება მოთხრობისა), მაგრამ იგი სხვებზე უფრო ნაკლებ დახატულია სრულად, მთელის სიღრმე-სიგანითა და სავსებით.

ჩვენ იმას-კი არ ვამბობთ, ილა ანუ ბნელო ნამდვილთან სწორი სურათი არ იყოს; არა, იგი ნამდვილი, ღვიძლი შვილია გლეხ-კაცის ცხოვრებისა. ჩვენ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ეგ მომქმედი მოსჩანს მოთხრობის დანარჩენ მომქმედთა შორის თვითონაც ეპიზოდიურ პერსონაჟად და არა ყოვლის მხრით ცოცხლად დახატულ ტიპად.

სწორედ ესევე უნდა ითქვას მარიკოზედაც. მარიკომ, გეხსომებათ, როცა „კნიაზი“ შაქრო ძალით შეუვარდა და გააპატიურა, მორთო კივილი, მაგრამ ისიც გეხსომებათ, რომ ეგ მისი კივილი მხოლოდ პირველში მოხდა. შემდეგ სრულიად დაემორჩილა გარემოებას: მარიკო „სათელი ნაბადი გახდა მამასახლისისა და შაქროსი; ილამ მიასწრო იმაზე მამასახლისს და გააგდო სახლიდამ. ამას შემდეგ მარიკო როსკიპი ქალი შეიქნა.

სიმონას ცოლი (მოთხ. „სიმონა“), ქეთოს რძალი დარია-კი, ესეც ძალით შეურაცხყოფილი, დიაღაც ვერ მოურიგდა ასეთს მისს უნებურს ლეჩაქის ახდას, ვერ აიტანა ასეთი სირცხვილი, გამოეთხოვა თავისს საყვარელს შვილს და წყალში თავი დაირჩო.

რომელი ავტორი უფრო მართალია, ნამდვილი? ჩვენის აზრით—ორივენი. ბ-ნი მელანია გვიხატავს ცხოვრებას უფრო ისე, როგორც რუსები იტყვიან, (жизнь) какъ она есть; ბ-ნი ნინოშვილი იმავე ცხოვრებას ისე გვიხატავს (დარიას მიერ თავის-მოკვლა), როგორიც სასურველია, რომ ცხოვრება იყოს. პირველი იღებს ნამდვილის სწორს სურათს, ხოლო მეორე გვაძლევს იდეალს.

მართლაც, ამ ჩვენს დროს, როცა ქალის ზნეობა quasi-ცივილიზაციის ზედმოქმედებით უკან და უკან მიდის, ასში ერთმა ქალმა ამ გვარ შემთხვევაში (რა ნაირშიაც შთავარდნენ ილიასა და სიმონას ცოლები), იქნება, დაირჩოს თავი, სხვები-კი ჩაერევიან ამ წუთის-სოფლის წუმპე მორევში. რაც უნდა იყოს, ყველა ქალი ასეთს ძალ-დატანებულს შეურაცხყოფას ხომ ყურს ვერ მოუყრუვებს. ვინც პატიოსანი და სათნოიანია, რა-კი იმას მამაკაცივით სისხლის აღება არ ეხერხება, ისეთს შერცხვენილს სიცოცხლეს თავის მოკვლას არჩევს და იკლავს როგორმე თავს. ამ შემთხვევაში, იმაზე მაღლა ვინც გარემოებას მოურიგდა, იმ ქალს ვაყენებთ, ვინც თავი დაირჩო. სწორედ ისე, როგორც ამ უკანასკნელზე მაღლა ის ქალი უნდა იდგეს, რომელიც ასეთს შემთხვევაში თავს-კი არ იირჩობს, არამედ, შეძლებისა და გვარად, შეებრძოლება საშინელს მტრობასა და უადამიანობას, თუნდა მსხვერპლიც გახდეს ამ შებრძოლებისა.

ასედაც მოიქცნენ სწორედ სიმონა და ბნელო: ბედისაგან ისე ულმერთოდ დევნილნი, (ბრძვიან მდევნელთ, შეურაცხმყოფელთ, ვინც იმათ, უდანაშაულოდ სტანჯვენ ამ საცოდავთ. გლეხ-

*) იხ. „ივერია“ № 243.

ძვირიოდ. ინგლისში, მაგალითად, სულ დაბალს ხარისხის ჩაი გირვანქა $16^1/_2$ კაპეიკად იყიდებოდა და ამ ჟამად-კი 24 კაპეიკად იყიდებაო.

*** ხვალ, 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა. საგანი კრებისა: 1) საადმინისტრაციო საქმე; 2) მოხსენება საზოგადოების წევრთა; ა) ხაზინადარის ნ. პ. სმიტტენისა, ბ) წიგნთ-საცავის გამგესი ა. მ. თობჩიბაშევისა და გ) მდივნის ა. ს. ფრენკელისა; 3) სიტყვა საზოგადოების თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვისა და 4) საზოგადოების მოხელეთა არჩევანები. კრებას შეუძლიანთ არა-წევრნიც დაესწრნენ.

*** სტამბოლიდგან იუწყებიან, რომ არზრუმში 30 ოქტომბრიდგან 9 ნოემბრამდე ხოლერით ავად გახდა 79, ამათში გარდაიცვალა 42; ტრაპეზონდში 2 ნოემბრიდგან 7 ნოემბრამდე ხოლერით ავად გახდა 54, ამათში გარდაიცვილა 34.

*** ტფილისის ქალაქის მოურავს ქალაქის საბჭოს ხმოსანმა გ. ე. ფრიდონოვმა წერილით მიჰმართა და სთხოვა: რადგანაც სამსახურის გამო დრო არა მქონდა საბჭოს კრებებს დავსწრებოდი და ამას იქითაც დრო არ მექნება ქალაქს ვემსახუროო, ამიტომ გთხოვთ, საბჭოს ხმოსნის მოვალეობიდგან განმათავისუფლეთო.

*** კვირას, 15 ნოემბერს, ტფილისის პოლიცმეისტრის ბრძანებით, პოლიციამ რამდენსამე მაღაზიის პატრონს ოქმი შეუდგინა კვირა დღეს ვაჭრობისათვის.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ გამოაცხადა, ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველმა ბ-ნმა ოსტაპოვიჩმა სამსახურს თავი დაანებაო და ვისაც ამ თანამდებობის მიღება ჰსურს თხოვნით მოგვმართოსო. მსურველნი ამ ადგილისა ოცზედ მეტი აღმოჩნდენ. ამათგან საზოგადოებამ შვიდი კანდიდატი ამოირჩია და საზოგადო მორიგი კრება აირჩევს ზემოხსენებულ სკოლის მმართველს. აქამდე ერთი და იგავე კაცი ასრულებდა საბაღოსნო სკოლის მმართველობის თანამდებობასაც და ბაღოსნობის მასწავლებლობასაც. ეხლა-კი სამეურნეო საზოგადოების საბჭო ძლიერ კარგა მოიქცა და დაადგინა, რომ ერთი კაცი სკოლის მმართველად იქმნა დანიშნული და მეორე ბაღოსნობის მასწავლებლად, რადგანაც ამ ორსავე თანამდებობის ასრულება ერთის კაცისათვის ძლიერ ძნელიაო.

*** დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი იუწყება, რომ 14 ნოემბრიდგან დაღესტნის ოლქში ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა.

7—11 ნოემბერს ქ. ლენქორანში ხოლერით ავადმყოფი იყო 3, ავად გახდა 1; ლენქორანის მაზრაში ავად იყო 17, კვლავ ავად გახდა 6, მორჩა 8, გარდ. 5, დარჩა 10.

ყარსში 2 ნოემბერს 1 ავადმყოფი იყო ხოლერით; ერთის კვირის განმავლობაში გახდა ავად 4, მორჩა 1, გარდ. 2; 9 ნოემბერს ავადმყოფი იყო 2.

*** „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“ უკვე შეუგროვებია ყველა ნაწერები აკაკისა, რაც-კი ლექსად არის დაწერილი და გაუგზავნია ავტორისათვის გადასათვალიერებლად. მოუვა თუ არა უკან კრებული, ამხანაგობა დაუყოვნებლივ შეუდგება ბეჭდვას და იმედი აქვს, რომ ახილწლისათვის მოასწროს პირველი ტომი.

*** ქუთაისი: დიდი ხანი არ არის, რაც აქ დაარსდა საკვირაო სკოლა; ამ სკოლას აზრად აქვს, წერა-კითხვა ასწავლოს იმათ, რომელთათვისაც ბედს სწავლა არ ურგუნებია წესიერად მოწყობილს სკლებში. სკოლის გამართვის საქმეში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნნთ ვ. ჯაფარიძემ, მ. ვარდოსანიძემ, იოსელიანის ასულმა და სხვა პატივცემულმა კაცმა და ქალმა. სკოლაში ასწავლიან შემდეგ საგნებს: ლოცვებს, სალმრთო სჯულს, წერას (ქართულს და რუს.) კითხვას, თვლას და სხვ... სხვათა შორის ამ სკოლისთვის გულ-მოდგინედ შრომობს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი, ბ-ნი რატიშვილი, რომელიც ყოველ კვირა-დღე აუცდენელად დაიარება ზემოხსენებულ სკოლაში და ასწავლის საეკკლესიო გალობას ქართლ-კახეთის კილოზედ.

*** სოფ. კელის-ციხე: გუშინ, 16 ნოემბერს, ღამე, ჩვენს სოფელში მეორე გილდის ვაჭარმა ალექსანდრე ბაირამოვმა თავისსავე სახლში ჩამოირჩო თავი. ბაირამოვი შეძლებელი, საკმაო მამულისა და გაძლიერებულის ვაჭრობის პატრონი იყო. საკვირველია, როგორ გაიმეტა ასე თავი ხანში შესულმა და წვრილ-შვილის პატრონმა კაცმა. მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ გამოურკვეველია, თუმცა-კი განსვენებულს დაუტოვებია წერილი. წერილში სწერს, რომ „ჩემის სურვილით მოვუღე ჩემ სიცოცხლეს ბოლოო“.

*** სოფ. ბესლანი (კავკავის მაზრა): სოფ. ბესლანში საქონლის ჭირი დიდი ხანია მძვინვარებს და დიდს ზარალსაც აძლევს ხალხს.

*** სოფ. ყადგარონი (კავკავის მაზრა): ამას წინად სოფ. ყადგარონში შემდეგი საცოდაობა მოხდა: ერთი ყმაწვილი ბიჭი დამბაჩას სწმენდავდა. ამ დროს მეზობლის პატარა, სამის წლის ყმაწვილმა მიირბინა და აელოზა წინ; უცაბედად დამბაჩა გავარდა და საბრალო ბავშვს გულ-მუცელი გაუფლითა ტყვიამ.

*** სოფ. ამბროლაური: ქვემორაჭა სიამოვნებით მიეგება იმ ამბავს, რომ ამბროლაურში სასოფლო აფთიაქი გაიმართებაო. ამბროლაურში აფთიაქის დაარსება მოუწადინებია აქაურს მკვიდრს ბ-ნს წულუკიძეს. თუ ეს ხმა გამართლდა, დიდი საშველი და დახმარება მიეცემათ ქვემო-რაჭველებს, რომელნიც, ცხადია, უნდა ჰგრძნობდნენ უაქიმობასა და უაფთიაქობას. აფთიაქი და ექიმი მით უფრო საჭიროა აქეთ, რომ ამ ბოლოს დროს ბევრი ისეთი სენი ჩნდება, რომლის შესახებ აქაურებმა წინად არა იცოდნენ-რა. ცნობილი საყმაწვილო სნეულებანი ხომ მუსრს ადენს ხოლმე ხალხს და მშველელი არსაიდგან ჩნდება. ამის დასამტკიცებლად ქვემო-რაჭის სხვა სოფელში გადასვლა არ დაგვჭირდება. აქაურის მღვდლის 1892 წ. საბუთები გასინჯეთ და დაინახავთ, რომ ამ სოფელში მკვიდრთა რიცხვი-კი არ მატულობს, პირ-იქით, შესამჩნევად ჰკლებულობს.

*** „Н. Вр.“-ს სიტყვით, კავკასიაში ახალი სააქციონერო საზოგადოება არსდება — რუსეთ-კავკასიის ნავთის მწარმოებელთა.

*** 17 ნოემბერს ტფილისის მცხოვრებელმა ივანე კალმიკოვმა ახალ-არსენალის ქუჩაზედ საკუთარს სადგურში თავი ჩამოირჩო. მიზეზი თავის ჩამოხრჩობისა განუწყვეტელი ლოთობა ყოფილა.

*** ამავე დღეს პოლიციელმა შეიპყრო სათადარიგო ეფრეიტორი პავლე კისენკო. ამ კისენკომ 25 სექტემბერს ტფილისის რკინის გზის სადგურთან მოჰკლა „სტოროჟი“ ათანასე ავტომენკო.

## წერილი კახეთიდამ.

კრება თავად-აზნაურთა.—დაარსება ამხანაგობისა ღვინის ვაჭრობის საწარმოებლად შეერთებულის ღონით.—სიტყვა თ. ნ. ჩოლოყაშვილისა და სხვათა.—გარდაწყვეტილება კრებისა.—არჩევანი კომისიის წევრთა.—სიტყვა ი. ზ—სა.

დაგპირდით შემდეგს წერილში წლევანდელ ღვინის მოსავალის შესახებ საუბარსა, მაგრამ იმავე მოსავლის გამო ჩამოვარდა ისეთი ლაპარაკი, რომ არ შეიძლება, მკითხველის ყურადღება ამ ახალს სალაპარაკოს არ მივაქციო, რადგანაც ეგ სალაპარაკო დღე და ღამ არ გვასვენებს კახელებს. თავადმა ნიკოლოოზ ზაალის ძემ ჩოლოყაშვილმა მოიწვია ოქტომბრის მიწურულს თელავის მაზრის თავად-აზნაურობა და სხვა ვენახის პატრონები. მოწვეულნი შეიყარნენ დილის თერთმეტს საათზედ თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის სახლის დარბაზში. თავ-მჯდომარედ აღმორჩეულმა თ. დიმიტრი მაყაშვილმა სთხოვა საზოგადოებას, რომ ბაასი რიგით ყოფილიყო, რათა ერთმანეთისთვის არ დაეშალათ.

მომყავს აქ სტენოგრაფიული ანგარიში-კი არა, არამედ ის, ვინც რა სთქვა დაახლოებით და ამიტომ ბოდიშს ვიხდი, თუ ნათქვამი ზოგისა ცოტათი შევამოკლე; მომატებით კი არა მომიმატებია-რა, მომეტებული ლაპარაკი რუსულად იყო, თუმცა ბოდიშს-კი იხდიდნენ მოლაპარაკენი, კარგი ლაპარაკი არ შეგვიძლიან ქართულადაო.

თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. ბატონებო, მე ახალს არას მოგახსენებთ. რაზედაც ვილაპარაკებ, არა ერთ გზის გსმენიათ; ბევრჯელ ყოფილა ამაზედ ლაპარაკი კერძოდაც და საზოგადოდაც. ბევრჯელ გვილაპარაკნია და საქმედ-კი არც ერთხელ არ გადგვიქცევია. ყველა თქვენგანი დამეთანხმება, რომ დიდ გაჭირვებაში ვართ ვენახის პატრონები ღვინის რიგიან ფასად გაუყიდველობით. აგერ წლევანდელი მოსავლის ღვინის ვაჭრები ჰყიდულობენ ღვინოს საპალნეს (48 ვედროა) ოც-და-ხუთ მანეთად. ვენახის შემმუშავებელს რა უნდა დარჩეს საპალნის 25 მ. ან 50 მ. გაყიდვითა? შეიძლება, ამ ფასად გაყიდულ ღვინით დაიბრუნოს ვენახის პატრონმა, თუნდ მარტო შემუშავების ხარჯი? კარგად იცით ყველამ, დღევანდელი მდგომარეობა ვენახის პატრონისა დიდ-ხანს ვერ გასტანს და ამიტომ იძულებული გახდება დაჰკარგოს ეგ ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა. თუ დროზედ არ ვუშველეთ ჩვენ თავს, ვენახებს სხვა პატრონები გაუჩნდებიან: ეს უტყუარი საქმეა. ჩვენ პურის მოყვანას არ მივსდევთ; არ ვიჩენთ ცხვარსა და ღორსა, არა გვყავს მუშა და მოცადი საქონელი: ერთად-ერთი წარმოება ჩვენი არის ღვინო, რომელსაც ასეუსინიდისოდ აფოლებენ ვიჭარნი. ღვინო მოგვყავს და ზარალით ვყიდით. როდემდის შეიძლება ავიტანოთ ეს ზარალი? დროა, ღვინოს გზა მივცეთ. შევადგინოთ ამხანაგობა და ჩვენ სინიდისიერად ვისარგებლოთ მით, რითაც ახლა ასეუსინიდისოდ სარგებლობენ სხვანი. შევადგინოთ ამხანაგობა და ჩვენი ღვინო ჩვენვე მივაწოდოთ მხმარებელსა. მეტყვიან, ფული არა გვაქვს, კაცები არა გვყავს, როგორ ვუშველოთ თავსაო? მეტყვიან, თელავში სხვა საზოგადო დაწესებულებანიც გვქონდა, მაგრამ ჩაილურის წყალი დალიესო. მართალია, თელავის დამზოგველი საზოგადოების დეპო და გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის კასა მოისპო, მაგრამ უკაცობით-კი არ მოხდა ესა, არამედ გამგებელთა შორის პირადის ქიშპობის მსხვერპლნი შეიქმნენ ეს დაწესებულებანი.

---

ნი, თუ-კი ბატონ-ყმობის დროსაც აქაიქ ნდომობდნენ მძიმე უღლის მოშორებას კისრიდამ, თუ-კი ისინი—ილასიმონასთანები მაინც—მაშინ ასე შეჰბედავდნენ ხოლმე ბატონს: „გიჯობს შენს ტყავში დაეტიოვო! იგიც გეყოფა, რომ შენ ბატონი ხარ და მე ყმაი, კვირაში ოთხს დღეს შენთვის ვმუშაობ და მთლად შესაჭმელად ნუ მომინდომებ; თუ არა, ერთი თუ თავზე ხელი ავიღე, შავს დღეს დაგაყენებ, ოხრად მოგიქცევ იმ საწყალ ყაზახების ოფლით აგებულ სასახლესა“-ო („სიმონა“, „ივერია“ № 4);-დიაღ, თუ-კი მაშინ ასე იყო, ეხლა ამაზედ მეტს თამამობას იჩენენ გლეხები. ეხლა, თავისუფლებაში დაბადებულნი და აღზრდილნი, გულ-ხელ დაკრეფილნი-კი არ შესცქერიან უსამართლობას, არამედ ზღვევისა და სამაგიეროს გადახდას ხდელად უცემთ გული იმათ მიმართ, ვისგანაც უსამართლოდ და უღმერთოდ არიან დევნილ-ჩაგრულნი. მაგრამ, ერთი ვიკითხოთ, რა ღონესა ჰღონობენ და ან რა საშუალებასა ჰხმარობენ ამისათვის? ეხლანდელის „ზაკვან-კანონისა“ გლეხს არა გაეგება-რა და არც არა სწამს-რა იმისი. კანცელიარიებ-სასამართლოებში თრევასა და დროს დაკარგვას ის ურჩევნია, რამდენიმე მანეთი ტყუილად გადაიხადოს. ასეც რომ არ იყოს, გლეხი, რომელიც თავის სოფელს არ გასცილებია, რომლის სპეციალ საგანს გუთნის დედობა და ღამის მეხრეობა-ღა შეადგენს, რომელმაც არც-კი იცის, კანცელიარიას კარები საითკენა აქვს, აი ამისთანა გლეხი რას გაარიგებს იმათთან, ვინც დღე-და-ღამ კანცელიარიებში დადიან, ვისაც სიცრუვე და სიმართლე სინონიმებად მიაჩნიათ. მხოლოდ მთლად გულუბრყვილო ð მთლად პატიოსანი გლეხი, ისეთი, როგორიც იყო ილა თავდა პირველად, დარწმუნებულია, რომ საკმაოა მივიდეს კაცი მსაჯულთან, უთხრას სიმართლე და მართალი კაცი მაშინვე გათეთრდება, ცილი მოშორდება. მაგრამ რანაირად განცვიფრდა, როგორ გაუშრა პირში ნერწყვი საწყალ ილას, როდესაც განაჩენი გამოუცხადეს და შეიტყო, რომ მისს სიმართლეს ველარა გაუვიდა-რა და მომჩივანის სიცრუის ძალით ციხეში უნდა ამოეყო თავი! უსამართლოდ გაამტყუნეს, შეარცხვინეს და ციხეშიაც ისვე ჩასვეს. ესეც არაფერი, ცოლიც-კი იმათვე გაუპატიურეს, ვინც ასე საზიზღრად მოექცნენ. აი ასეთს შემთხვევაში, როცა უსამართლობით გლეხ-კაცის ფიალა პირთამდე ივსება და გადმოდენასაც იწყებს, ერთის სიტყვით, როცა გლეხს მოთმინების ძაფი უწყდება, მხოლოდ მაშინ, ლომს დამზგავსებული, არა-რა საშუალებას არ ჰზოგავს, ოღონდ მტერს მტრული პასუხი გასცეს. მხოლოდ ამითი თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ასე სულ-გამწარებული გლეხი თავისს საყვარელს ოჯახზე ხელს იღებს, იმდენის წლობით თავის ოფლით მორწყულ ყანა-ვენახს უპატრონოდ სტოვებს, ფირალად გარბის და თვით ღამის მეხრედ ყოფილი ღამის მეხრეებს ატირებს და იმ ხარებს სტაცებს, რომლებიც სულის ერჩია. ამ ადგილას ავტორის კალამს საკმაო ლირიზმიც ეტყობა (ნახ. „ბნელო“ 173—175 გვ.).

ორივემ—ილამაც და სიმონამაც—ჯეროვანი პასუხი აგეს მტრებს, თუმცა ცოტა სხვა-და-სხვა გვარადკი. სიმონა ჰკლავს შეურაცხმყოფელს ტიტიკოს და მისს ძმას ლევანს, რომელსაც, მართალი რომ სთქვას კაცმა, ბევრი დანაშაულობა არა მიუძღოდა-რა სიმონას წინაშე. ილა-კი ჰკლავს მამასახლისს და სტოვებს ცოცხლად კნ. შაქროს, რომელსაც მეტი დანაშაულობა მიუძღვის მის წინაშე: ჯერ ერთი—იმან ჩააგდო დავიდარაბაში ილა, ცილი დასწამა, მის მიერ არ ჩადენილი დანაშაულობა დაუმტკიცა, ალალ-მართალი კაცი უშველებელს ხარჯსა და ზარალში შეიყვანა, მისი საყვარელი „ბუქლა“ მარიკოც პირველად იმან შეურაცხ-ჰყო. აი ასეთი ადამიანი დაუსჯელი დასტოვა ილამ, მაშინ—როდესაც თვით სოფლის ქალებიც-კი სწუხან, მამასახლისს კნ. შაქროც რად არ მიაყოლაო. აქ ავტორი ანნამდვილთან სისწორის გზას ასცდენია, ანა-და ქართლ-კახელი გლეხები ბატონ-ყმობით უფრო დაჩაგრულნი ყოფილან, და ჯერაც იმდენად წელში ვერ გამართულან და თავი ვერ აუწევიათ მაღლა, რომ, ასეთს უკიდურესს შემთხვევაში მაინც შეჰბედონ რამე ნაბატონარს. ამ ორში აქ მეორე მიზეზი უფრო ჰკუაში მოსასვლელია, რადგან პირველს ხომ კაცი ვერ იტყვის ავტორის შესახებ. ერთის სიტყვით, ეს გარემოება და ისიც, რომ ბნელო უბრძოლველად ჰნებდება მთავრობას, მაშინ როდესაც სიმონა ცოცხალი არავის ეპყრობინება, ცხადად გვიხატავს ამ ორ მოთხრობის ტიპების ტომებრივს განსხვავებას.

პ—ე გ—ე

(დასასრული ხვალ)

თელავის მაზრაში სამასი კომლი თავად აზნაურობაა. ამ სამას კომლში პირველ დაწყებისათვის საკმარისს ფულს ვერ ვიშოვნით? როგორც მცოდნე კაცებმა მითხრეს, ღვინის ვაჭრობის გამართვისათვის, ღვინო რომ არ ჩავთვალოთ, საჭიროა ორასი თუმანიო. ჩვენ ექვსასი ჩავაგდოთ, ერთი სამად მეტი. განა ჩვენში არ მოიპოვება ოცი კაცი, რომ ოცდა-ათათი თუმანი გამოიღონ და ეს საჭირო ექვსასი თუმანი შეადგინონ? მაგალითად ვამბობ ამას; და ნამდვილად იქნება თითოს გამოსაღებად ხუთი თუმანიც არ შეჰხვდეს. რამდენადაც ამხანაგობაში ბევრი მიიღებს მონაწილეობას, იმდენად ნაკლები შეჰხვდება თვითოეულს ამხანაგს გამოსაღები ფული. რაც შეეხება კაცებს, იმათაც ვიშოვნით. სამას კომლში სამ-ოთხ კაცს როგორ ვერ გამოვარჩევთ? ღვინის კეთების მცოდნეებსაც ვიშოვნით. ჩვენ გვყავს კაცები ტფილისში, რომელნიც დიდის სიამოვნებით ხელს მოგვეხმარებენ. თ. ნ. ჭავჭავაძე, რომელიც იქამდის უხიაკი და მოთაკილეა, რომ უკანასკნელს ლუკმას დაინატრებს და სხვისას ერთ ფარჩლს არ ინდომებს. ჩვენა გვყავს ტფილისში თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელმაც კარგად იცის ამ გვარი საქმენი და ამიტომ შეუძლიან ჩვენთვის სასარგებლო და შესაფერი წესდების შედგენა, ჩვენა გვყავს იქვე თექვსმეტი წელიწადი ბუხგალტერად ნამყოფი კაცი, რომელსაც ბევრნი ფინანსისტს ეძახიან. მე ფინანსისტს არ ვეძახი და ვიცი-კი, რომ კარგად შეიძლებს ის ჩვენ ანგარიშების გასწორებას. ეს კაცი არის თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი. კიდევ გვყავს ჩვენ ტფილისში, ჩვენი მეზობელი, თ. ლ. გ. ჯანდიერი, რომელსაც წელს ას სამოცი საპალნე ღვინო მოუვიდა და რომელიც საგანგებო წევრი იქნება ზედამხედველ კომიტეტისა.

ბატონებო, შევადგინოთ ამხანაგობა, ხელი ხელს მივცეთ და ფულსაც ვიშოვნით, კაცებსაც. ჩვენი ღვინო ჩვენვე გავყიდოთ და დავარწმუნოთ მყიდველი, რომ ეს ღვინო ბევრად კარგია იმაზე, რომელსაც ჩვენი ღვინის სახელით ჰყიდიან და იაფადაც დაუჯდება, ვიდრე ახლა უჯდება. ბატონებო, ვისარგებლოთ წლევანდელის მოსავლით, შევადგინოთ ამხანაგობა, ნუ დავინანებთ, თუნდა პირველად საქმის უცოდინარობისა და გამოუცდელობისა გამო ვიზარალოთ რამ კიდეც. ვითომ დავსეტყვილვართ. ნუ ვინ იტყვის, ჩემის ცოლშვილის წლიური სარჩო ეგ არისო. რამდენჯერ დაგვსეტყვია, დაგვნაცრია, არა მოგვსვლიარა და შიმშილით არ დავხოცილვართ. შევუდგეთ საქმეს, დღევანდელის შიმშილ-სიტიტვლით გავაკეთოთ სამერმისო და საშვილიშვილო საქმე.

თ. მაყაშვილი. მოვისმინეთ ბაასი თ. ჩოლაყაშვილისა ღვინის სავაჭრო ამხანაგობის დაარსების შესახებ. ნათქვამიდამ ვერ გავიგე, რაზედა ვართ მოწვეულნი, ან რაზედ უნდა ვილაპარაკოთ. ყოველთვის, როცა ვინმე საქმის წინამძღოლობას ჰკისრულობს და ამისთანა კრებას მოუწოდებს, შეკრებილთ წარუდგენს გამორკვეულ გეგმას. კრებაც შეუდგება მუხლ-მუხლად სინჯვას წარმოდგენილ პროექტისას. რამდენჯერმე გქონიათ ამ საგანზე ლაპარაკი და აქნობამდის არა არის რა გამორკვეული. მე აქ არც პროექტ-გეგმასა ვხედავ რისამე და არც მუხლ-სალსარსა; რაზედ უნდა ვილაპარაკოთ?

თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილი. მე არც წინამძღოლობას ვჩემობ და არც გეგმა მაქვს შედგენილი. მე, ბატონებო, მოგიწვიეთ და მოგახსენეთ, რომ ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობას შველა უნდა. როგორ, რით, რანაირად? აი, აქა ბრძანდებით და თქვენ არჩიეთ. წესდების შედგენა მიანდეთ კომისიას და იქონიეთ სახეში, რაც ადრე იქნება, ისა სჯობია, ვეცადნეთ მომავალ იანვრისთვის ამხანაგობამ დაიწყოს მოქმედება.

თ. ს. ნ. ვეზირიშვილი. ყველასათვის ცხადია, რა ღარიბად არის ჩვენი თავად-აზნაურობა. ყველამ ვიცით, რომ ერთად ერთი წყარო შემოსავლისა არის ღვინო. ამისათვის დიდად გაუჭირდება თვითოეულს ჩვენგანს ოც-და-ათის თუმნის შემოტანა. თუმცა თ. ჩოლოყაშვილმა სთქვა, ვითომ დავსეტყვიათ, მაგრამ ასე არ იქნება. ისევ სჯობია, თუ შეიძლება, საქმის დაწყებისათვის საკმაო ფული ისესხოს ამხანაგობამ.

თ. აბამელიქოვი. ბატონებო, იცოდეთ, რომ ამისთანა ამხანაგობა ტფილისშიაც იყო დაარსებული, ე. ი. ამხანაგობა ღვინის მოხმარებელთა. ამ ამხანაგობას კარგად მიჰყავდა თავისი საქმე; დიდი ნდობაც დაიმსახურა, ასე რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოება ათას თუმნობით ასესხებდა ფულს. თვით ჩემი ძმა იყო გამგეობის წევრი და ვიცი, რომ ეს ამხანაგობა მდიდრებმა დაამხეს, ამიტომ მე გირჩევთ, ამხანაგობა მარტო თავად აზნაურთაგან შეადგინოთ, არავინ სხვა არ გაურიოთ (აქ საზოგადოებამ მოუწონა ნათქვამი ორატორს), თუ გაურევთ ვისმე, დაიღუპებით. (ისმის ხმა: მართალია, მართალი). ამასთანავე წილის ფული ხუთი თუმანი იყოს. იქნება იმისთანა ამხანაგი გამოჩნდეს, რომ ასი წილის ფული შემოიტანოს. თვითონ მე ას წილის ფულს შემოვიტან. მე ოცის წლის გამოცდილება მაქვს ღვინის ვაჭრობაში და მენდევით, რომ არც ერთი წვეთი ღვინო არ დაგრჩებათ გაუყიდავი.

შემდეგ თავად ს. ნ. ვეზირიშვილის თხოვნით იფიქრეს და გადასწყვიტეს შემდეგი:

ა) ამხანაგობა შევადგინოთ მარტო თელავის მაზრის ვენახის პატრონთაგან, თუ სხვა მაზრების ვენახის პატრონებიც მივიღოთ ამხანაგობაში?

ბ) ამხანაგობა შევადგინოთ მარტო თავად-აზნაურთაგან, თუ სხვა წოდებისაგანაც?

გ) ვაჭრობა რა ზომისა უნდა იყოს, ან რაოდენი უნდა იყოს ვაჭრობისათვის ფული?

დ) წილის ფული რაოდენი უნდა იყოს?

ე) ამხანაგობა მოვალეა მიიღოს ამხანაგის ღვინო სრულიად, თუ არა და ამხანაგი მოვალეა უეჭველად თავისი ღვინო მიჰყიდოს ამხანაგობას, თუ არა?

კრებამ გადასწყვიტა: ა) ამხანაგობა შესდგეს მარტო კახეთის ვენახის პატრონთაგან; ბ) ამხანაგობაში მიღებულ იქმნას მარტოდ მარტო თავად-აზნაურობა. (ზოგთ სთქვეს, სამღვდელოებაცაო, პირადნი აზნაურნიცაო, ზოგთ უარი სთქვეს.) გ) ვაჭრობისათვის ფულის რაოდენობის საჭიროებას წინათვე ვერ განვსაზღვრავთ, არ იქნებაო; დ) წილის ფული ხუთი თუმანი იყოს, ხოლო რავდენი წილის ფულის შეტანა შეეძლება ერთს ამხანაგს და რავდენი ხმა შეიძლება ჰქონდეს, კომისიამ გამოარკვიოსო; ე) ამხანაგობა მოვალეა, გამგეობისაგან გადაწყვეტილ ფასად მიიღოს ამხანაგის ღვინო სრულიად; ამხანაგი მოვალეა, ჯერ გამგეობას აჩვენოს თავისი ღვინო და თუ მისგან გადაწყვეტილ ფასს არ დასჯერდება, სხვას მიჰყიდოს.

ამორჩეულ იქმნენ კომისიის წევრებად: თ. ს. ნ. ვეზირიშვილი, თ. ა. რ. ვახვახიშვილი, თ. ს. რ. ვახვახიშვილი, თ. ი. გ. ჯორჯაძე, ვ. ი. კიკნაძე თ. ი. ი. ჯორჯაძე, თ. ი. გ. ქობულიშვილი, თ. გ. დ. მაყაშვილი, თ. ნ. ი. აბამელიქოვი, თ. ი. რ. რუსიშვილი და თავმჯდომარედ კომისიისა თ. დ. გ. მაყაშვილი.

ერთმა არა თავად-აზნაურთაგანმა ი. ზ—მ ითხოვა სიტყვა და მოახსენა კრებას: პატივცემული საზოგადოება აჩქარდა, როცა მიიღო გადაწყვეტილება, ამხანაგობა მარტო თავად-აზნაურთაგან შევადგინოთო. თუ არ აჩქარებით, ვერ ამიხსნია, რად უარჰყო საზოგადოებამ ისინი, ვის შრომით და ოფლით მოდის ის ღვინო, რომლისათვისაც არსდება ამხანაგობა? რით დაიმსახურა გლეხობამ ამისთანა დაწიხვლა? თუ იტყვით, გლეხებში ბევრნი ძალიან საწყალნი არიანო, განა თავად-აზნაურთა შორის არ არიან ღარიბნი და საწყალნი? განა თქვენ დღეს სიღარიბეს არ სჩიოდით? თქვენვე არა სთქვით, სიღარიბე-კი არა, სიმდიდრეა საშიში ამხანაგობისთვისო? რადგანაც კახეთში განსაკუთრებულის თვისების ღვინო მოდის, ვიდრე სხვა საქართველოს კუთხეში, უნდა ამხანაგობა შესდგეს მარტო კახეთის ვენახის პატრონებისაგან, მიუხედავად იმისა, თავადია, აზნაურია, გლეხია, თუ სამღვდელო. ვინც ისურვებს ამხანაგად შესვლას, უნდა მიღებული იქმნას, ოღონდ ვენახი ჰქონდეს კახეთში. თუ ჰშიშობთ, მდიდარი ვაჭრები გაგვიამხანაგდებიან და დაშლიან საქმესაო, ისეთი წესდება შეადგინეთ, რომ იმათ ვერა დააკლონრა. განა მდიდრები თავად-აზნაურობაში არ არიან და განა ისინი-კი მოკლებულნი არიან ჯიბის გასქელების სურვილსა? თუ სუყველასთვის არ იქნება ამხანაგობის კარი ღია, ეგ რაღა ამხანაგობაა და ან ამისთანა ამხანაგობისაგან რა საზოგადო სარგებლობას უნდა ველოდდეთ. ისევ სირაჯის დუქანი იქმნება, რომლის მოგებაც მცირე რიცხვს გაუსქელებს ჯიბეს და უმეტესობას უფრო უარესს დღეში ჩაჰყრის. იმის მოგებით საზოგადოება ვერ ისარგებლებს. თუკი ასე იქმნება, თუნდა ყოფილა ამისთანა ამხანაგობა, თუნდა არა, კახეთს მალამო არ დაედება. ჩემის აზრით, საჭირო იყო, კრებას ამ საგნის გადაწყვეტა რითიმე დაესაბუთებინა, როგორც სხვა საგნების შესახებ მოიქცა. არავის არა უთქვამს-რა ამ საგანზედ, გარდა თ. აბამელიქოვისა, რომელმაც გირჩიათ მარტო თავად-აზნაურთაგან შევადგინოთ ამხანაგობაო. მიზეზი იმისი, თუ რად დავასკვენით ასეთი აზრი, არც იმას დაუსახელებია გარკვევით და არც სხვასა: სჯობდა კიდევ დაჰბრუნებოდით, ბატონებო, ამ საგანს და იქნება რიგიანად გამორკვევის შემდეგ სხვა გადაწყვეტილება მიგეღოთ, ან იგივე გადაწყვეტილება უფრო რიგიანად დაგესაბუთებინათ.

თ. ი. რ. რუსიშვილი. სხვებიც რომ მივიღოთ, ბევრნი ვიქმნებით და საქმე ჩაგვეშლება.

ი. ზ. წელან სჩიოდით, ცოტანი ვართ, ბევრი ფულის გამოღება არ შეგვიძლიან, ახლა სიბევრესა სჩივით?

თავმჯდომარე. ჩვენის ამხანაგობის მოქმედება გლეხების ღვინოსაც ფასს დასდებს.

ი. ზ. როცა ვაჭრობა რომელისამე საგნისა ერთის ხელში ჩავარდება, მოქიშპე არ ეყოლება, ის ერთი ჰბატონობს. (აქ აირევიან, დაიწყებენ ლაპარაკს, აღარა ისმის-რა).

ჭეშმარიტად სამწუხაროა, როცა მთელი მაზრის მოწინავე დასის უმრავლესობა ასე ჰფიქრობს. სამწუხაროა და სავალალო არა მარტო დღევანდელის დღისათვის, არამედ და უფრო მომეტებულად მომავალისათვის. რა იმედი უნდა გვქონდეს მომავალში, თუ-კი ასე გავნაწილდით, ჯგუფ-ჯგუფად გავედით და თითო წოდება ცალკე იმოქმედებს საერთო, საქვეყნო საქმეში? რა ძალი და ღონე მოიპოვება ამისთანა გაცალკ-გამოცალკევებით? განა შეიძლება იქ კერძო ბედნიერება, სადაც უმრავლესობა უბედურია? რა სჯობია ერთობას ჭირშიაც და ლხინშიაც, ალებაშიაც და გალებაშიაც? სხვამ რომ დანერგოს განცალკევება ძმათა შორის, პირველი მოწინააღმდეგენი ჩვენ უნდა ვიყვნეთ და დახე, ისევ ჩვენვე არა ვსცდილობთ ჩვენსავე დაქსაქსვა-დანაწილებას?!

ნადიკვრელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ დღეებში რუსეთის გაზეთებიდგან ამოვიკითხეთ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან უნდა დაარსდეს სამეურნეო საბჭო. საბჭოს შეადგენს: თავმჯდომარე—თვით მინისტრი სახელმწიფო ქონებათა, სხვა-და-სხვა სამინისტროს წარმომადგენელნი და 15 მიწად-მფლობელი. საბჭოს კრება მოხდება ხოლმე ყოველ წლივ ზამთარში და განიხილავს: მეურნეობის შესახებ ახალ კანონების პროექტებს, სამეურნეო საზოგადოებათა და კერძო კაცთა სხვა-და-სხვა მოხსენებას და სხ.

მთავრობის განზრახვა ასეთის საბჭოს დაარსებისა ამტკიცებს, რომ საჭიროდ უცვნია მიიღოს ყოველ გვარი საშუალებანი რუსეთის მეურნეობის განკარგებისათვის. არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ რუსეთის მეურნეობის განსაკარგებლად ბევრი რამ არის საჭირო. გაზეთი „Рус. Вѣд.“-ი სწერს ამ საქმის შესახებ:

1) უმთავრესი მიზეზი რუსეთის მეურნეობის დაქვეითებისა მიწის უქონლობაა. ჯერ ისევ 30 წლის წინად ზოგიერთ გუბერნიებში (მაგალითად კურსკისა და პოლტავისაშივე გლეხებს შესამუშავებელი მიწა ძლიერ ნაკლებადა ჰქონდათ. მას აქეთ ხალხმა იმატა და მაშასადამე მიწა უფრო დააკლდათ. მიწის უქონლობის წინაამდეგ ბევრ გვარ საშუალების მიღება შეიძლება, მათ შორის საჭიროა ხალხი ერთ ადგილიდგან მეორე ადგილას გადაასახლონ და ამას გარდა საერო ბანკების კრედიტი გააიაფონ.

2) მეორე მიზეზი მეურნეობის დაქვეითებისა იაფის კრედიტის უქონლობაა. მიწის პატრონი სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევისა გამო, როგორიც არის მაგალითად: მოუსავლობა, საქონლის ჭირი და სხ., მამულის პატრონი იძულებულია მიწა დაუგირაოს სოფლის ჩარჩსა და ხშირად დაგირავებულს სახნავს ადგილს ველარ იხსნის. ამ მიზეზის თავიდგან ასაცილებლადაც საჭიროა საერო ბანკის კრედიტის გაიაფება და ამასთანავე ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების გარდა სხვა დამზღვევ საზოგადოებათა დაარსებაც, მაგალითად, მოუსავლობისაგან, საქონლის ჭირისაგან, დასეტყვისაგან და სხ.

3) რუსეთის მეურნობა სრულებით არ არის განვითარებული. სამეურნეო ცოდნა არავის არა აქვს და ამ მიზეზის გამო მეურნეობა ძლიერ დაქვეითებულია. მიწის შემუშავება რიგიანად არავინ იცის და ამ მიზეზით მიწას თანდათან ძალ-ღონე გამოელია და მოსავალს ყოველ წლივ აკლდება. საჭიროა ამიტომ, რაც შეიძლება მეტად გავრცელდეს ხალხში სამეურნეო ცოდნა.

4) რაც უნდა განკარგებულ იქმნას მეურნეობა რუსეთში, ეს მაინც საკმარისი არ არის ხალხის კეთილ-დღეობისთვის. გლეხ-კაცისთვის მაინც მუდამ საჭირო იქნება სხვა მრეწველობასაც და მუშაობაც მიჰყოს ხელი ზამთარში. მაგრამ, სამწუხაროდ, გლეხ-კაცი ხშირად ვერა პოულობს სამუშაოს. საჭიროა ამიტომ უკეთესად მოეწყოს საზოგადო სამუშაოები და ყოველ გვარ მრეწველობის განაძლიერება და განკარგება.

ასეთია ის საშუალებანი, რომელთაც ასახელებს ზემოხსენებული გაზეთი, რუსეთის მეუურნეობის განსაკარგებლად. რა თქმა უნდა, რომ ამ საშუალებათა გარდა საჭიროა აგრეთვე შეიცვალოს აწინდელი წეს-წყობილება რუსეთის ფინანსებისა და თავიდგან აეცილოს ისრეც გაღარიბებულ - გაღატაკებულ ხალხს ათას ნაირი გაწერილი და გაუწერელი გარდასახადი, რომელიც მეტის-მეტ მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას.

**

გაზეთ „Нов.“-ში ვკითხულობთ:

პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ შემდეგი საგანი განიხილა: როგორ უნდა დაჰხოცოს ყასაბმა საქონელი? ამ კრებაზედ ერთს მკურნალს უთქვამს: „საქონელს დანით ყელი უნდა გამოეჭრას. ყელის გამოჭრის დროს საქონელი დიდს ტკივილს არა ჰგრძნობს (?!) და ხორცი-კი უფრო გემრიელი არის ხოლმე და დიდხანსაც ინახებაო.“

## რუსეთი

გაზეთი „Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა განხილვას ახალ კანონ-პროექტისას, რომელიც შეეხება სიმთვრალის მოსპობას. ეს კანონ პროექტი ძლიერ წააგავს იმ კანონ-პროექტს, რომელიც წარდგენილია ავსტრიის რეიხსრატში. სხვათა შორის ამ კანონ-პროექტის ძალით, კვირა უქმეების წინა დღეს, საღამოს 6 საათზედ, ყოველ გვარ მაგარ სასმელების დუქნები უნდა დაიკეტოს მეორე საღამოს 6 საათამდე.

— იგივე გაზეთი იუწყება, რომ ამ დღეებში დაიწყობს მოქმედებას ახლად დაარსებული კომისია, რომელსაც საგნადა აქვს შესცვალოს აწინდელი კანონმდებლობა ფინლიანდიისა. კომისიაში მონაწილეობას იღებენ: თავმჯდომარე ნ. ხ. ბუნგე, იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრნი, საკოდიფიკაციო განყოფილების მთავარი მმართველი დ. ტ.

ს. ფრიშა, ფინლანდიის სენატორი ალფტანა და ფინლანდიის გენერალ გუბერნატორი გრ. გეიდენი.

— რუსეთში ძლიერ გავრცელდა საქონლის ჭირი. გაზეთი „Кіевл.“-ი იუწყება, რომ საქონლის ჭირი პოლტავას გუბერნიას მოედო და საშინშია, კიევის გუბერნიაშიაც არ გადმოვიდესო. ამის გამო განზრახვა აქვთ საქონლისთვის კარანტინები გამართონ.

— წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ეგზამენები ჩვეულებრივზედ ადრე დაიწყობა, რადგანაც საფიქრებელია, გაზაფხულში ხოლერამ კიდევ იჩინოს თავი. ამ მიზეზისავე გამო ზოგიერთ პროფესორებს განზრახვა აქვთ ეგზამენები შემოდგომისათვის გადასდონ.

— „Гражд.“ იუწყება, რომ რუსეთის დასავლეთ—სამხრეთის გუბერნიებიდგან ავსტრიაში 20,000-მდე კაცი გადასახლდაო.

— იგივე გაზეთი იუწყება: ამ დღეებში საგანგებო კომისიამ განიხილა პროექტი შესახებ იმისა, რომ ქირით მიცემულ სახლს სახელმწიფო გარდასახადი დაადოთო. კომისიამ ეს პროექტი არ შეიწყნარა და სრულიად უარჰყო.

## წვრილი ამბავი

— ისპანიის ერთს საპატიმროში დიდი შეტაკება მოხდა საპატიმროს დარაჯთა და პატიმართა შორის. პატიმრებმა აჯობეს მცველებს და უმჭკლეიათ თითონ განთავისუფლდებოდნენ და დარაჯებს დააპატიმრებდნენ, ჯარი რომ არ მიეშველებოდა მცველთ. რამდენიმე პატიმარი მოჰკლეს და 16 მძიმედ დასჭრეს.

— მინსონის შტატის ქ. კუდსტოკის ერთს ბანკში შევიდა ორი შეიარაღებული კაცი და ხმალ-ამოღებულნი დაადგნენ ბანკის კასსირს: „ამ წუთას 10,000 დოლარი დაგვითვალეო“. შეშინებულმა კასსირმა ეს ფული ოქროთი გადაუთვალა. შეუპოვარ ავაზაკებმა ფული აბგებში ჩაილაგეს და გასწიეს თავისთვის. პოლიციამ ბევრი ეძება ეს ორი ავაზაკი, მაგრამ ვერსად იპოვნეს.

— „ქალის დანიშვნა, მარტო ნიშნის მიცემით და ცოლად შერთვის დაპირებით-კი არ შეიძლება, არამედ საარშიყო წერილის მიწერითაც, ხელის ჩამორთმევითაც და სხვ“. ამას გვასწავლის ინგლისელი მსაჯული ურაიტი. ერთს გასათხოვარ ინგლისელ ქალს ხატვას მასწავლებელი ჰყავდა. მასწავლებელს ძრიელ მოსწონდა თავისი ლამაზი მოწაფე და ორის წლის განმავლობაში საარშიყო წერილებსა სწერდა და შემდეგ-კი უეცრად მოსპო ყოველ გვარი მიწერ-მოწერა. ტურფა მოწაფე გაცასწყრა და შეატყობინა თავის მასწავლებელს, თუ ნებით არ შემირთავ, სასამართლოში გიჩივლებო. მასწავლებელმა მკაცრად მიუგო: „თუ ჩემ მიერ მოწერილ წერილებში ერთს მაინც დამისახელებ ისეთს, რომლითაც ცოლად შერთვას გპირდები,—ბატონი ბრძანდებით, შეგირთავო, მაგრამ, მე ასეთის შინაარსის წერილი არ მომიწერია, მაშასადამე თქვენ თქვენთვისა ბრძანდებოდეთ და მე ჩემთვისაო. სასტიკმა მსაჯულმა ურაიტმა ეს საქმე გაარჩია და გადასწყვიტა: მასწავლებელმა ან თავისი მოწაფე ქალი ცოლად უნდა შეირთოს, ან არა და 1,000 მანათი ჯარიმა გადისადოს წინ-დაუხედავ არშიყობისათვისაო.

— პარიჟის ერთს ფოტოგრაფს რაღაც უცნაური წამალი გამოუგონია. საჭიროა ეს წამალი ქაღალდს წაუსვათ და ზედ ადვილად გადაიღება ადამიანის სურათი. ეს წამალი ძრიელ იაფია თურმე, ასე რომ სულ ერთი ქაპეიკი დაჯდება ამ-სახით ქაღალდზედ სურათის გადაღება.

— ახირებულის გასართობის გამართვა მოუწადინებია ერთს ამერიკელს. იმ ადგილას, სადაც ჩიკაგოს გამოფენა უნდა გაიმართოს, უყიდნია კარგა დიდი ადგილი. ამ ადგილას გამართავს რკინის გზის ლიანდაგებს. გარშემო სკამები იქნება მაყურებელთათვის, სწორედ ისე, როგორც ცირკშია გამართული. ამ ცირკში ეს ახალი ანტრეპრენიორი გამართავს... მატარებლების ერთმანეთზედ დატაკებისა, მსხვრევისა და ხალხის დასახიჩრების წარმოდგენებს. სწორედ რომ უცნაური სანახავი იქნება, თუ ინჟინრებმა ნება მისცეს ამ ამერიკელს ასეთის წარმოდგენების გამართვისა და არ განაცხადეს: „მატარებლების მსხვრევის უფლება მხოლოდ ჩვენა გვაქვს მონიჭებულიო“!..

# დეპეშა

17 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დიდის მთავარის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ახლად დაბადებულს ვაჟი-შვილს სახელად ოლეგი ეწოდა.

**პარიჟი.** მინისტრთა მიერ წარდგენილი თხოვნა სამსახურიდგან გადადგომისა მიღებულ იქმნა.

მინისტრები კვლავ განაგებენ საქმეებს ვიდრე ახალი კაბინეტი შესდგება. უმრავლესობის აზრით, სამინისტროს კრიზისის მშვიდობიანად თავიდგან აცილება ძნელიაო. რადიკალთა გაზეთები ამბობენ, რომ ახალის კაბინეტის საქმე ფრიად მარტივი იქნება. მან უნდა გამოაშკარავოს სავსებით პანამის საქმეო; ლაპარაკია პალატის დათხოვნის შესახებ.

**ბომბეი.** ინდოეთის მთავრობას განზრახვა აქვს ავღანის ემირს სასტიკი ნოტა გაუგზავნოს და მოსთხოვოს საკმარისად დასაბუთებელი მოხსენება ჩიტრალის საქმეებში გარევის გამო.

18 ნოემბერი

**პარიჟი.** გუშინდელი კენჭის ყრა მიმართული იყო უფრო რიკარის წინაალმდეგ; რაიცა შეეხება ლუბეს, სანანურადა აქვთ, რომ რაღაც ხრიკების გამო, რომელთა მიზეზითაც რიკარმა უარი უთხრა კომისიას, ნუ გაანთავისუფლებთ დროებითაც-კი დრიუმონსაო და ნუ გასჭრით რეინაკის გვამსაო, მინისტრ-პრეზიდენტმა თვით იკისრა პასუხის გება და მით დაჰფარა იუსტიციის მინისტრი; ეხლა ბრძოლაა მაგისტრატურასა და გამოძიების კომისიას შორის; ამბობენ, რომ ბრისონი, რომელიც არის მიზეზი კაბინეტის დამხობისა, უარს ამბობს, ახალ სამინისტროს არ შევადგენო.

### პეტერბურგის ბირჟა, 17 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,07 | 8,11 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 161³/₄ | 162¹/₂ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 242¹/₂ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221³/₄ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀. . . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀. . . . . . . | 99,62 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | 102 | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

# განცხადებანი


„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—16)

### საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახების, ბაღების და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

### „უნივერსალი სააგენტო“

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-⁰/₀-იან მომგებისბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

### რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5⁰/₀-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10⁰/₀ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კ უ პ ო ნ ე ბ ი სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—14) აგენტი დ. ქ. თუთაევი

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

### პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—20)

### დედა-ენა

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მსხვილისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.

შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა.

10—7

### რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—18) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.


Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Ноября 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.